პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
17 აპრილი
1940 წ.
№ 89 (5790)
ფასი 10 კაპ.

მარცვლეული, პარკოსანი და საბურღულე კულტურების, ბრინჯისა და ზეთოვანი კულტურების გადამუშავებისათვის სამინდე გამოსაღების გაუქმების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს კოლმეურნეობებისა და ადგილობრივი საბჭოების წისქვილების მუშაობა, შემსუბუქდეს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მდგომარეობა და გადიდდეს სასურსათო და საფურაჟე საჭიროებისათვის მარცვლეულის დაფქვით და ზეთოვანი კულტურების გადამუშავებით მათი დაინტერესება, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. გაუქმდეს 1940 წლის 1 ივლისიდან ყველა სახელმწიფო, საკოლმეურნეო და კოოპერატიულ წისქვილებსა, ბურღულსაღერღელასა და ზეთსახდელში მარცვლეული, პარკოსანი და საბურღულე კულტურების, ბრინჯისა და ზეთოვანი კულტურების გადამუშავებისათვის იმ სამინდე გამოსაღების ნატურით გადახდევინება, რომელიც სახელმწიფოს შემოსავალში შედის, და დაწესდეს აღნიშნულ კულტურათა გადამუშავებისათვის ფულადი ფასი.

2. წინადადება მიეცეთ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებს, კოლმეურნეობათა მიერ მარცვლის სახელმწიფო ჩაბარების რაიონობრივი ნორმების დაწესებისას, გაითვალისწინონ კოლმეურნეებიდან კოლმეურნეობებზე მარცვლისა და მზესუმზირას იმ რაოდენობის გადატანის საჭიროება, რომელსაც სახელმწიფო კოლმეურნეებისაგან სამინდე გამოსაღების სახით იღებდა.

3. კოლმეურნეობათა კუთვნილ წისქვილებისა, ბურღულსაღერღელებსა და ზეთსახდელებში მარცვლის, პარკოსანი და საბურღულე კულტურების, ბრინჯისა და ზეთოვანი კულტურების გადამუშავებისათვის ფულად ფასს აწესებენ კოლმეურნეობათა გამგეობანი, ხოლო ადგილობრივი საბჭოების კუთვნილ წისქვილებსა, ბურღულსაღერღელებსა და ზეთსახდელებში — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები იმ ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილებით.

4. წინადადება მიეცეთ კოლმეურნეობებს გაიჩინონ თავიანთი წისქვილები, განსაკუთრებით წყლისა და ქარის წისქვილები, შეაკეთონ და სრულ წესრიგში მოიყვანონ არსებული წისქვილები, ხოლო ადგილობრივ საბჭოთა და პარტიულ ორგანოებს — საჭირო დახმარება აღმოუჩინონ კოლმეურნეობებს ამ საქმეში.

5. დაევალოთ სახელმწიფო, კოოპერატიულ ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებს, რომლებსაც აქვთ წისქვილები, ბურღულსაღერღელები და ზეთსახდელები, არაუგვიანეს 1940 წლის 10 ივლისისა ჩააბარონ „ზაგოტზერნოს“ დამამზადებელ პუნქტებს 1940 წლის 1 ივლისამდე შემოსული მთელი სამინდე მარცვალი და მზესუმზირა, ამასთან ანაზღაურებულ იქნას იგი იმ პირობების საფუძველზე, რომლებიც ამ დადგენილების გამოცემამდე არსებობდა.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ი. სტალინი

1940 წლის 15 აპრილი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კავშირის საბჭოს არჩევნების ვიიპურის (ვიბორგის) საარჩევნო ოლქის შექმნის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-34 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 21, 23 და 24 მუხლების საფუძველზე შეიქმნას კავშირის საბჭოს არჩევნების ვიიპურის (ვიბორგის) საარჩევნო ოლქი № 613. ცენტრით ქ. ვიიპურში (ვიბორგში) შემდეგი მაზრების შემადგენლობით: ვიიპურისა—სიაკიარვისა და იოჰანესის თემების ჩათვლით, იასკისა, კაკისალმისა (კექსჰოლმისა), კურკიოკისა, სორტავალასი (სერდობოლისა) — ვიარტსილის დასახლებული პუნქტის ჩათვლით, სალმისა — ლიუსფაარისა და კუოლისმაას დასახლებული პუნქტების ჩათვლით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წ. 15 აპრილი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა საარჩევნო ოლქების შექმნის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-35 მუხლისა და „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 22, 23 და 24 მუხლების საფუძველზე დაარსდეს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების შემდეგი საარჩევნო ოლქები:

ოქტომბრის საარჩევნო ოლქი № 587 (ცენტრი—ქალ. პეტროზავოდსკი).
ქალ. პეტროზავოდსკის ოქტომბრის რაიონი.

ზარეჩიეს საარჩევნო ოლქი № 588 (ცენტრი—ქალ. პეტროზავოდსკი).
ქალ. პეტროზავოდსკის ზარეჩიეს რაიონი.

პირველი მაისის საარჩევნო ოლქი № 589 (ცენტრი—ქ. პეტროზავოდსკი).
ქალ. პეტროზავოდსკის პირველი მაისის რაიონი და მუშათა დაბა სოლომენოე.

პრიონეჟიეს საარჩევნო ოლქი № 590 (ცენტრი—ქ. პეტროზავოდსკი).
რაიონები: პრიონეჟიეისა და შელტოზერსკისა.

პრიაჟის საარჩევნო ოლქი № 591 (ცენტრი—სოფ. პრიაჟა).
რაიონები: პრიაჟისა და გედლოზერსკისა.

ოლონეცის საარჩევნო ოლქი № 592 (ცენტრი—სოფ. ოლონეცი).
ოლონეცის რაიონი.

კონდოპოგის საქალაქო საარჩევნო ოლქი № 593 (ცენტრი—ქალ. კონდოპოგა).
ქალაქი კონდოპოგა, კონდოპოგის რაიონის მუშათა დაბა სუნსკი და გორსკის, კონდოპოგის, იანიშპოლსკის, კულმუგისა და ნოვინსკის სასოფლო საბჭოები.

კონდოპოგის სასოფლო-საარჩევნო ოლქი № 594 (ცენტრი—ქ. კონდოპოგა).
კონდოპოგის რაიონის ვორონოვსკის, სოპოხსკის, სელეეის, ტივდიისკის, ილმასელგის, ლიჟმსკის, კიაპისელგის და უნიცკის სასოფლო საბჭოები და პეტროვსკის რაიონი.

ზაონეჟიეს საარჩევნო ოლქი № 595 (ცენტრი—სოფ. შუნგა).
ზაონეჟიეს რაიონი.

პუდოჟის საარჩევნო ოლქი № 596 (ცენტრი—სოფ. პუდოჟი)
პუდოჟის რაიონი.

მედვეჟიეგორსკის საქალაქო საარჩევნო ოლქი № 597 (ცენტრი—ქ. მედვეჟიეგორსკი).
ქ. მედვეჟიეგორსკი და მედვეჟიეგორსკის რაიონის ლუმბუჟის, ჩებინსკის, მიანდუსელგის და პოკროვსკის სასოფლო საბჭოები.

მედვეჟიეგორსკის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 598 (ცენტრი—ქ. მედვეჟიეგორსკი).
მედვეჟიეგორსკის რაიონის მუშათა დაბა პოვენეცი და რიმსკის, კოლოზერსკის, ჩელმოჟის, ლომსკის, დანილოვსკის, მორსკო-მასელგსკის, ვოემოსალმის, ვიგორზერსკის და კოკკინიცკის სასოფლო საბჭოები.

სეგოზერსკის საარჩევნო ოლქი № 599 (ცენტრი—მუშათა დაბა მასელსკაია).
სეგოზერსკის რაიონი, მედვეჟიეგორსკის რაიონის მასენსკის და სეგეჟის მუშათა დაბები და უროსოზერსკის სასოფლო საბჭო.

რუგოზერის საარჩევნო ოლქი № 600 (ცენტრი—სოფ. რუგოზერი).
რუგოზერის, რებოლსკის და ტუნგუტის რაიონები.

ბელომორსკის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 601 (ცენტრი—ქ. ბელომორსკი).
ქ ბელომორსკი და ბელომორსკის რაიონის შიჟენის, სუკონავოლოკსკის და ვირენსკის სასოფლო საბჭოები.

ბელომორსკის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 602 (ცენტრი—ქ. ბელომორსკი).
ბელომორსკის რაიონი (ქ. ბელომორსკის და ჩიჟენის, სუხონავოლოკსკისა და ვირემსკის სასოფლო საბჭოების გამოკლებით).

კემის საქალაქო საარჩევნო ოლქი № 603 (ცენტრი—ქ. კემი).
ქ. კემი და მუშათა დაბა რაბოჩეოსტროვსკი.

კემის სასოფლო საარჩევნო ოლქი № 604 (ცენტრი—ქ. კემი).
რაიონები: კემისა (ქ. კემისა და მუშათა დაბა რაბოჩეოსტროვსკის გამოკლებით) და კალევალის რაიონი.

ლოუხის საარჩევნო ოლქი № 605 (ცენტრი—სოფ. ლოუხი).
ქალაქი კუოლაიარვი და ყველა დასახლებული პუნქტი კუოლაიარვის რაიონში და ლოუხის და კესტენგის რაიონები.

ვიიპურის (ვიბორგის) საქალაქო საარჩევნო ოლქი № 606 (ცენტრი—ქ. ვიიპური (ვიბორგი).
ქალაქი ვიიპური (ვიბორგი).

ვიიპურის (ვიბორგის) სასოფლო საარჩევნო ოლქი № 607 (ცენტრი—ქ. ვიიპური (ვიბორგი).
მაზრები: ვიიპურისა (საკიარვისა და იოჰანესის თემების ჩათვლით და იიასკისა.

კიაკისალმის (კექსჰოლმის) საარჩევნო ოლქი № 608 (ცენტრი—ქ. კიაკისალმი (კექსჰოლმი).
კიაკისალმის (კექსჰოლმის) მაზრა.

სორტავალას (სერდობოლის) საარჩევნო ოლქი № 609 (ცენტრი—ქ. სორტავალა (სერდობოლი).
მაზრები: სორტავალასი (სერდობოლის) და კურკიოკისა (დასახლებულ პუნქტ ვიარტსილას ჩათვლით).

პიტკიარანტის საარჩევნო ოლქი № 610 (ცენტრი—ქ. სალმი).
სალმის მაზრის თემები: სალმი, იმპილახტი, სუისტამო, სოანლახტი.

სუოიარვის საარჩევნო ოლქი № 611 (ცენტრი—ქ. სუოიარვი).
სალმის მაზრის თემები: სუოიარვი და კორპისელკაია (დასახლებული პუნქტების ლიუსვაარას და კუოლისმაას ჩათვლით).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი.
1940 წლის 15 აპრილი.

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ჩაის კრეფას

„კომუნისტის“ გუშინწინდელ ნომერში დაიბეჭდა ქობულეთელთა მიმართვა — მოწოდება საქართველოს სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშებისა, სამიწათმოქმედო ორგანოების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისადმი — ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის 1940 წლის გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის. ქობულეთელთა ეს ინიციატივა ყოველმხრივ მხარდაჭერის ღირსია.

1940 წელს ორდენოსან საქართველოში უნდა დამზადდეს 51.114.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ეს გეგმა სავსებით რეალურია და მისი წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა ჩაის კრეფის ორგანიზებულად მოწყობა და პლანტაციების მოვლის ყოველმხრივ გაუმჯობესება. ამხანაგ **ს. ჩარკვიანმა** საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე თავის საანგარიშო მოხსენებაში, შეეხო რა ჩაის პლანტაციების ფართობისა და მოსავლიანობის გადიდების საკითხებს, განაცხადა: „გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს აგრეთვე ჩაის ფოთლის კრეფის საქმე. 1939 წელს კრეფის არასწორი ორგანიზაციის შედეგად მახარაძის, ლანჩხუთის და ზოგიერთი სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა ფოთლის გადამწიფებას და გაუხეშებას. ეს არა მარტო ამცირებს მწვანე ფოთლის ხარისხს, არამედ აფერხებს ჩაის ბუჩქების ვეგეტაციას და ეწევის მოსავლიანობის შემცირებას“.

საქართველოს სუბტროპიკული რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ამხ. კ. ჩარკვიანის მითითებიდან ყველა საჭირო დასკვნა უნდა გააკეთონ.

ქობულეთის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობათა წევრები, საბჭოთა მეურნეობების მუშები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები თავიანთ მიმართვაში სამართლიანად სწერენ: „ჩაის კრეფის დაწყებამდე მცირე დრო დარჩა. ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ჩაის კრეფას. ’ანიმუშად მოვემზადოთ ჩაის კრეფისათვის და მივიღოთ მაღალი მოსავალი. ეს იმას ნიშნავს, რომ დროულად და ხარისხოვნად შევასრულოთ ყველა სახის სამუშაო ჩაის პლანტაციებში, დავაზუსტოთ გამომუშავების ნორმები, საკმაო რაოდენობით მოვიმარაგოთ კალათები, გოდრები, სისწორები, შევაკეთოთ სასოფლო და საპლანტაციო გზები, წესრიგში მოვიყვანოთ მიმღები პუნქტები, პლანტაციებში მოვაწყოთ ფარდულები და ჩაის კრეფის გეგმა გავაცხოთ თვითეულ ბრიგადას, რგოლს, კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის მუშას“.

მაგრამ ჩაის ფოთლის კრეფისათვის მზადებას მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ არ ექცევა სერიოზული ყურადღება. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფ. ნაგომრის, თხინვალის, ჭანიეთის, შემოქმედის კოლმეურნეობები და ლანჩხუთის რაიონის სოფ. ნიგვზიანის კალინინის სახელობის, სოფ. არჩეულის, წითელი უბნის კოლმეურნეობები სუსტად ემზადებიან ჩაის კრეფისათვის. ზოგიერთ საბჭოთა მეურნეობაში ჩაის კრეფის გეგმები არ არის დაყვანილი თვითეულ ბრიგადამდე და მკრეფავამდე. ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონისათვის არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან მახარაძის და მაღალი-ეწრის ჩაის ფაბრიკები. შეუწყნარებლად ჭიანურდება რემონტი ბათუმის, აჩიგვარისა და მოქვის ჩაის ფაბრიკებში.

ჩაის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ღირსების საქმეს შეადგენს ბრძოლა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის. ეს ამოცანა წარმატებით იმ შემთხვევაში შესრულდება, თუ კოლმეურნეობებში უზრუნველყოფილი იქნება რგოლების ორგანიზაციაზე ფართოდ გადასვლა. უკანასკნელად რგოლების რაოდენობა ჩაის კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგრამ ბევრ ბრიგადაში რგოლები ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი. სამიწათმოქმედო ორგანოები ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს ამ საქმეში.

საქართველოს სოციალისტურ მინდვრებზე ახალი ძალით ჩაღდება მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის აპრილის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები კიდევ უფრო აორკეცებენ შრომას, წარმატებით ემზადებიან იმისათვის, რომ საკოლმეურნეო პროდუქტების სიუხვე გვიჩვენონ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

იქვე არ არის, რომ ქობულეთელთა მოწოდებას ყოველმხრივ მხარს დაუჭერს და სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებმება სუბტროპიკული რაიონების ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და ჩაის ფაბრიკა და ბოლშევიკურად გაანალდებს ნაკისრ ვალდებულებებს.

სუბტროპიკული რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების და სამიწათმოქმედო ორგანოების ვალია სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას და უზრუნველჰყონ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა-დამზადების 1940 წლის გეგმის მთლიანად და გადამეტებით შესრულება, ხარისხობრივი მაჩვენებლების მტკიცედ დაცვით.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების დღის შესახებ

1. დაინიშნოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნები კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკისაგან 1940 წლის 16 ივნისს.

2. გამოცხადდეს კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო კამპანიის დაწყება 1940 წლის 16 აპრილიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი
1940 წ. 15 აპრილი.

მშრომელთა დეპუტატების ყველა რაიონულ და სასოფლო საბჭოს

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა საბოლოოდ და სამუდამოდ გაიმარჯვა. შეაცვალა საბჭოთა სოფლის მთელი ცხოვრება. კოლმეურნეობანი განმტკიცდნენ. აღიზარდნენ სოფლის მეურნეობის ასათასობით შესანიშნავი ოსტატები. ბევრი მათგანი სოციალისტური შრომის საუცხოო ნიმუშებისათვის დაჯილდებულია მთავრობის მიერ. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ ფართოდ დაანახვა მთელს ჩვენს ქვეყანას, მთელს მსოფლიოს ჩვენი დაუშრეტელი შესაძლებლობანი, ჩვენი საუკეთესო ადამიანები — სოციალისტური სოფლის მეურნეობის მოწინავენი.

საკოლმეურნეო წყობილებამ შეჰქმნა სოფლად ნამდვილი კულტურული რევოლუციის საფუძველი. ახლა ჩვენს წინაშე დასახულია ამოცანა—დავეხმაროთ კოლმეურნეთა მთელ მასას ჩადგეს მოწინავეთა რიგებში. ახლა, ისე როგორც არასდროს, საჭიროა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა.

ამის გასაკეთებლად საბჭოებს უდიდესი შესაძლებლობანი მოეპოვებათ. ჩვენ გვაქვს მტკიცე ეკონომიური ბაზა, ასათასობით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი — სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, კლუბები, ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები. გვყავს საუცხოო, თავისი სამშობლოს ერთგული საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც ენტუზიაზმით იღებს მონაწილეობას სოფლის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

ჩვენი ქვეყანა სწრაფად მიდის წინ. კულტურული მუშაობა არ უნდა ჩამორჩეს ქვეყნის სამეურნეო-პოლიტიკურ ზრდას. ამიტომ არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ ბევრ სასოფლო საბჭოში ჯერ კიდევ ვერ მოუღიათ ბოლო წარსულის სამარცხვინო მემკვიდრეობას — წერა-კითხვის უცოდინარობას.

არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭო გულგრილად ეკიდებოდეს ქოხ-სამკითხველოს, კლუბს, კულტურის სახლს, ბიბლიოთეკის ცუდ მუშაობას და არ იჩენდეს მათთვის მზრუნველობას.

ყველაფერი უნდა გავაკეთოთ სოფლის პოლიტიკურ - საგანმანათლებლო ორგანოების—ქოხ - სამკითხველოების, საკოლმეურნეო კლუბების, კულტურის სახლების განსამტკიცებლად. ამ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ სუფთა, მყუდრო სადგომები, კარგი მოწყობილობა, რათა კოლმეურნეებმა თავისი თავისუფალი დრო აქ კმაყოფილებით გაატარონ კულტურულ ვითარებაში, დაეწაფონ თვითგანათლებას, მოისმინონ რადიო, მონაწილეობა მიიღონ თავიანთ საკოლმეურნეო გუნდში, ორკესტრში, სპექტაკლში. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ თვითეულ კოლმეურნეს შეეძლოს მიიღოს თავისი ქოხ-სამკითხველოს საცნობარო მაგიდაში განსამარტებანი, პასუხი იმ სხვადასხვა კითხვებზე, რომლებიც მას აღელვებს, რომ აქ მუშაობდნენ აგროტექნიკური და სხვა წრეები, ეწყობოდეს ლექციები, მასწავლებლის, ექიმის, აგრონომის საუბრები, რომ აქ შეიძლებოდეს კარგი წიგნის, ჟურნალის, გაზეთის წაკითხვა.

მასების კულტურული ზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკის სიტყვას—წიგნს. ბათუმში, ქ. ბათუმში და მიაღწიონ იმას, რომ თვითეულ ქოხ - სამკითხველოს, საკოლმეურნეო კლუბს, კულტურის სახლს ჰქონდეს კარგი ბიბლიოთეკა, რომ ისინი უზრუნველყოფილი იყვნენ გაზეთებითა და ჟურნალებით, რომ ქოხ-სამკითხველოში ეწყობოდეს ლიტერატურული საღამოები, ხმამაღალი კითხვა.

სოფელში კარგი ქოხ-სამკითხველო, ბიბლიოთეკა, კლუბი — ეს თვითეული საბჭოს ღირსების საქმეა. სოფლის ამ კულტურულ დაწესებულებებს ყოველდღიური ყურადღებით უნდა ეკიდებოდნენ დეპუტატები, მათ ყოველნაირად ხელს უნდა უწყობდეს და ეხმარებოდეს სოფლის ინტელიგენცია.

დარწმუნებული ვარ, რომ მშრომელთა დეპუტატების ჩვენი ახალი რაიონული და სასოფლო საბჭოები, ურთიერთ შორის შეჯიბრების მოწყობით, შესძლებენ მოკლე ვადაში გადააქცევინონ ქოხ-სამკითხველოები, კლუბები, კულტურის სახლები სოფლის ნამდვილ კულტურულ კერებად, დაგვეხმარებიან მოვახდინოთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უახლოეს დროში და ამით ამომრჩეველთა წინაშე შეასრულებენ თავიანთ წმინდა მოვალეობას.

მ. ი. კალინინი.

1940 წლის 13 აპრილი.

გამოქვეყნებულია 15 აპრილის „უიჩიტელსკაია გაზეთში“.

ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივის იმ კრების რეზოლუციიდან, რომელიც საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შედეგებს მიეძღვნა

ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება, რომელმაც მოისმინა და განიხილა ამხ. ა. ა. ჟდანოვის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმის შედეგების შესახებ, სავსებით და მთლიანად იწონებს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

უდიდესი კმაყოფილებით და კანონიერი სიამაყის გრძნობით მიესალმება აქტივი ბოლშევიკური პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის ბრძნულ საგარეო პოლიტიკას.

თანმიმდევრობით ახორციელებდნენ ეს საგარეო პოლიტიკის პრინციპებს, რომლებიც ამხანაგმა სტალინმა ჩამოაყალიბა საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, პარტიამ და მთავრობამ უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებაში, ლენინგრადის, მურმანსკისა და მურმანსკის რკინიგზის უშიშროების უზრუნველყოფაში და ერთხელ კიდევ დაამტკიცეს მთელს მსოფლიოს, რომ „საბჭოთა კავშირი არ ყოფილა და არასოდეს არ იქნება სხვისი პოლიტიკის იარაღი, რომ სსრ კავშირი შუდამ ატარებდა და მომავალშიც გაატარებს თავის საკუთარ პოლიტიკას და არავინ არ გაუწევს იმას, მოსწონთ ეს სხვა ქვეყნების ვაებატონებს, თუ არ მოსწონთ“. (მოლოტოვი).

თეთრფინელებთან გმირული ბრძოლის დღეებში ქალაქ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის მუშები, გლეხები, ინტელიგენცია თავიანთი პატრიოსანი და თავდადებული შრომით სჭედდნენ თავიანთი მშობლიური წითელი არმიისა და საბჭოთა-საზღვაო ფლოტის გამარჯვებას მთელი რიგი იმპერიალისტური ქვეყნების შეერთებულ ძალებთან ბრძოლაში.

წითელმა არმიამ და საბჭოთა-საზღვაო ფლოტმა თეთრფინელებთან ბრძოლის ფრონტზე გაატარეს დანაშაულებრივი ზრახვები იმის ინგლისელი და ფრანგი გამჩაღებლებისა, რომლებიც დიდი ხნიდან ამზადებდნენ ფინეთში სამხედრო პლაცდარმს ბოლშევიკური საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყვეს თავიანთი მძლავრი საბრძოლო ტექნიკა, ისტორიაში უმაგალითო პატრიოტიზმი, მამაცობა, გმირობა და თავდადება ჩვენი დიდი, უძლეველი საბჭოთა ხალხისა.

პარტიული აქტივი მიესალმება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის დადგენილებას, რომლითაც მან დაამტკიცა 57 მილიარდი მანეთი ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, და სიტყვას აძლევს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ ლენინგრადელი ბოლშევიკები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, მთელ თავიანთ ენერგიას იხმარებენ, რათა მრეწველობამ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულოს ყველა თავდაცვითი შეკვეთა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კიდევ უფრო მრისხანე შეიარაღებისათვის უახლესი საბრძოლო ტექნიკით.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში ცვლილებათა შესახებ — კოლმეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ჰექტაროზრივ ჩაბარებაზე გადასვლა — სტალინური სიბრძნითა და სიღრმით სწორად სწყვეტს და ახამებს სოციალისტური სახელმწიფოს ძირითად ინტერესებს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესებთან და სპობს არსებულ უსამართლობას მოწინავე და ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა შორის. ეს დადგენილება მიმართულია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განმტკიცებისაკენ, კოლმეურნეობათა სიმდიდრისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის შემდგომი ზრდისაკენ. იგი წარმოადგენს მძლავრ იარაღს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სრული დაკმაყოფილებისათვის პროდუქტთა სიუხვის შექმნის საქმეში.

პარტიული აქტივი სავსებით და მთლიანად იწონებს პარტიისა და მთავრობის დადგენილებას ლენინგრადის ოლქში ბოსტნეულისა და კარტოფილის ჩაბარების ნორმების ერთგვარი გადიდების შესახებ, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ ქალაქ ლენინგრადის მშრომელთა მოთხოვნილება ბოსტნეულსა და კარტოფილზე დაკმაყოფილებულ იქნას შინასაოლქო წარმოების პროდუქტებით და რკინიგზის ტრანსპორტი განთავისუფლებულ იქნას საბჭოთა კავშირის სხვა ოლქებიდან ამ პროდუქტების შემოზიდვისაგან.

განუხრელი შესრულებისათვის იღებს რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებას — „ცვლილებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში“, — აქტივის კრება ავალებს ყველა პარტიულ, საბჭოთა, სამიწათმოქმედო და დამამზადებელ ორგანიზაციას უზრუნველჰყოს ამ დადგენილების უცილობელი გატარება ცხოვრებაში.

აქტივი აღნიშნავს, რომ ბოსტნეულის, კარტოფილისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ლენინგრადის ოლქის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ლენინგრადის მშრომელთა მოთხოვნილებებს ამ პროდუქტებზე, და ავალებს პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს გადამწყვეტი ზომები მიიღონ ქალაქ ლენინგრადის ირგვლივ ბოსტნეულ - კარტოფილისა და მეცხოველეობის ბაზის განვითარებისათვის. ამ საქმეში მთავარი ამოცანაა ბრძოლა ბოსტნეულისა და კარტოფილის მოსავლიანობის გადიდებისათვის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის, რომელიც ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა.

აქტივი ავალებს საკ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის საოლქო კომიტეტსა და საქალაქო კომიტეტს დაუპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომს შეიმუშაონ კოლმეურნეობათა მიერ ბოსტნეულისა და კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების ნორმები საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების შესაბამისად.

პარტიული აქტივი ავალებს საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტსა და საქალაქო კომიტეტს გადასინჯონ დამამზადებელი აპარატი მისი შემცირებისა და უკეთესი კადრებით განმტკიცებისათვის, რომელთაც შეეძლებათ პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესაბამისად გარდაჰქმნან მუშაობა. უზრუნველჰყონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის გეგმის უცილობლად შესრულება, რისთვისაც 1940 წლის 1 ივლისისათვის ლენინგრადის ოლქში შეჰქმნან სათანადო ტექნიკური ბაზა დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მისაღებად, შესანახად და გადასამუშავებლად.

პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ხელმძღვანელებმა, საკოლმეურნეო ორგანიზაციათა კომუნისტებმა და კომკავშირელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ცხენის სულადობის გადიდებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, რასაც უდიდესი სამეურნეო და თავდაცვითი მნიშვნელობა აქვს.

პარტიულმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა უმოკლეს ვადაში უნდა მიაღწიონ ლენინგრადის ოლქში წისქვილის მეურნეობის გაუმჯობესებას და უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს, რათა აღადგინონ 1940 წელს წყლისა და ქარის წისქვილები და გააჩაღონ ახალი წისქვილების მშენებლობა, რაც სავსებით უზრუნველჰყოფს მარცვლის დაფქვას.

აქტივის კრება ავალებს პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს მოკლე ვადებში და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარონ საგაზაფხულო თესვა, უზრუნველჰყონ ტრაქტორების, გამწევი ძალის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მაღალნაყოფი

გერმანიის ცნობა საომარი მოქმედების შესახებ

ბერლინი, 15 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ნორვეგიიდან მიღებული უკანასკნელი ცნობების თანახმად, გერმანიის ჯარი განაგრძობს მის მიერ დაკავებული ტერიტორიის გაფართოებას. ოსლოს რაიონში გერმანიის ჯარმა დაიკავა ნორვეგიის მნიშვნელოვანი საბჭეთრო ჭარხნები, ჰენეფოსსა და კონგსბერგში და ფრედრიკსტადის გამაგრებული ზონა. ნორვეგიის ნავსადგურებში გერმანიის ჯარის გადასხმა გეგმაზომიერად მიმდინარეობს. ნაწილობრივ დამყარებულია კავშირი ცალკეულ საბრძოლო შენაერთებთან, რომელნიც აქამდე იზოლირებულად მოქმედებდნენ.

14 აპრილს გერმანიის ავიაცია საზღვრავ ფრენას აწარმოებდა ჩრდილოეთის. ზღვაზე და ნორვეგიის მთელ სანაპიროზე თვით ნარვიკამდე. უშუალოდ ნარვიკის წინ აღმოჩენილ იქნა მტრის საბრძოლო-საზღვაო ძალები, სხვამხრივ ნარვიკში სიწყნარეა. უნდა ვიფიქროთ, რომ ინგლისის საბრძოლო-საზღვაო ძალები შეეცდებიან შეიჭრნენ ჩრდილო ნორვეგიის ცალკეულ ფიორდებში და დესანტი გადასხან იქ.

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

ბერლინი, 16 აპრილი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ნიუგორსვოლდის მთავრობა და ნორვეგიის არმიის სარდლობა ოსლოს ჩრდილოეთით განაგრძობენ ბრძოლას გერმანიის ჯარის ნაწილების წინააღმდეგ. ნორვეგიის მეფე ჰაკონი ნორვეგიის ჯართან არის.

○

ბერლინი, 16 აპრილი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ქრისტიანზანდში დაბანაკებული გერმანიის ბატალიონი გუშინდელი წინსვლის დროს წააწყდა ნორვეგიის სამი ბატალიონის ძლიერ წინააღმდეგობას, რომელთაც ეხმარებოდა არტილერია. მიუხედავად ამისა, რომ ნორვეგიის ძალები მეტი იყო, მცირე ბრძოლის შემდეგ ისინი დანებდნენ. მათ შორის იყო 150 ოფიცერი და 2 ათასი ჯარისკაცი.

○

ლონდონი, 16 აპრილი (საკდესი). რეიტერის საagენტო სტოკჰოლმიდან იუწყება, რომ გერმანიის ჯარს ამჟამად იერიში მიაქვს ნორვეგიის ფორტ ხეგრაზე, რომელიც მდებარეობს 20 მილზე ტრონჰეიმის აღმოსავლეთით. ნორვეგიის ჯარმა მოჭრილი ხეებით გაიკაფა გზები, რათა გაადვილოს გერმანიის ჯარის შემდგომი წინსვლა.

○

ლონდონი, 16 აპრილი (საკდესი). რეიტერის საagენტო იუწყება ნორვეგიის მსხვილ საკვანძო რკინიგზის სადგურ დომბოსში გერმანიის ჯარის საჰაერო-სატანტის შესახებ.

○

როგორც რეიტერის საagენტო სტოკჰოლმიდან იუწყება, გერმანიის ჯარმა ნორვეგიის მთელ რიგ რაიონებში სერიოზული წარმატება მოიპოვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოსავლეთით. ნორვეგიის ჯარის ნაწილებმა ხეობაში ოსლოდან 120 კილომეტრზე მდებარე ლილეჰამერში შეაღწიეს. ლილეჰამერი ნორვეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის ცენტრია. ლილეჰამერის ხეობაში ოსლოდან ჩრდილოეთით 100 კილომეტრზე მდებარეობს ნორვეგიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჰიდროელექტროსადგური.

საომარი მოქმედება ნორვეგიაში

ბერლინი, 16 აპრილი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ნიუგორსვოლდის მთავრობა და ნორვეგიის არმიის სარდლობა ოსლოს ჩრდილოეთით განაგრძობენ ბრძოლას გერმანიის ჯარის ნაწილების წინააღმდეგ. ნორვეგიის მეფე ჰაკონი ნორვეგიის ჯართან არის.

○

ბერლინი, 16 აპრილი (საკდესი). საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ქრისტიანზანდში დაბანაკებული გერმანიის ბატალიონი გუშინდელი წინსვლის დროს წააწყდა ნორვეგიის სამი ბატალიონის ძლიერ წინააღმდეგობას, რომელთაც ეხმარებოდა არტილერია. მიუხედავად ამისა, რომ ნორვეგიის ძალები მეტი იყო, მცირე ბრძოლის შემდეგ ისინი დანებდნენ. მათ შორის იყო 150 ოფიცერი და 2 ათასი ჯარისკაცი.

○

ლონდონი, 16 აპრილი (საკდესი). რეიტერის საagენტო იუწყება ნორვეგიის მსხვილ საკვანძო რკინიგზის სადგურ დომბოსში გერმანიის ჯარის საჰაერო-სატანტის შესახებ.

გერმანიის ჯარის მოქმედება ნორვეგიაში

ბერლინი, 15 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო ოსლოდან იუწყება, რომ გერმანიის ჯარმა, რომელიც ოსლოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მიიწევდა წინ, სძლია ნორვეგიის ჯარის წინააღმდეგობა და ხელთ იგდო 300 ტყვე, 7 ქვემეხი და დიდძალი სხვა შაშხანა და საბრძოლო.

გაზეთ „ლიეჯუოს აიდასის" კორესპონდენტი უარჰყოფს თავის ცნობას

კაუნასი, 15 აპრილი (საკდესი). ლიტვის დეპეშათა საagენტო იუწყება: „ლიტვური გაზეთის „ლიეტუგოს აიდასის" ბერლინელი კორესპონდენტის მიერ გამოქვეყნებული ყალბი ინფორმაცია, შეუმოწმებელი ხმების გამო, რომელთა თანახმადაც თითქოს მტრული ბაზად ჰქონოდეს გერმანიის საზღვაო ფლოტს ნორვეგიის წინააღმდეგ გალაშქრება, უარყოფილია თვით კორესპონდენტის მიერ".

ჰოლანდიაში საალყო წესები გამოცხადდა

ბერლინი, 15 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო, იმოწმებს რა ჰოლანდიური გაზეთ „სტაატსბლადის" ცნობას, ამსტერდამიდან გადმოგვცემს, რომ მთავრობის 13 აპრილის გადაწყვეტილებით საალყო წესებია გამოცხადებული ჰოლანდიის შემდეგს პროვინციებში: გრონინგენში, დრენტში, ჰელდერნში, სამხრეთ ჰოლანდიაში, ჩრდილო ჰოლანდიაში, ლიმბურგში, ჩრდილო-ბრაბანტსა და ზელანდიაში.

კინკლაობა ვან ძინ-ვეის ბანაკში

ჩუნცინი, 15 აპრილი (საკდესი). ჩინეთის პრესა აღნიშნავს: მიუხედავად იმისა, რომ ვან ძინ-ვეის მეთაურობით შეიქმნა „ცენტრალური მთავრობა", იაპონელ მარიონეტებს შორის კინკლაობა მაინც არ შეწყვეტილა. უბანის (ხანკოუ, ხანიანი, უჩანი) მარიონეტული ხელისუფლება დღემდე უარს ამბობს ვან ძინ-ვეის „მთავრობის" დროშის გამოფენაზე. არის ცნობები, რომ უბანის ხელისუფლება არა სცნობს ვან ძინ-ვეის „მთავრობას".

ხანგრძლივი დავისა და ზეგავლენის შემდეგ ბეიპინში გამოჭფინეს ვან ძინ-ვეის ახალი დროშა. მაგრამ ამტკიცებენ, მტრობა ჩრდილო ჩინეთის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე ვან კე მინსა და ვან ძინ-ვეის შორის არ შეწყვეტილაო. აღნიშნავენ, რომ მთელი ეს შეხლა-შემოხლა გამოწვეულია არა მარტო მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის არსებული მეტოქეობით ან და მათს ზურგს უკან მდგომი ზოგიერთი იაპონელი გენერლის მეტოქეობით, არამედ მას სპეციალურად აღვივებენ იაპონელები, რომელნიც მოჰქედებენ შემდეგი პრინციპის თანახმად: „გაჰყავი და იბატონე". იაპონელებს არ სურთ დაუშვან, რომ მათი ერთერთი აგენტის ხელში თუნდაც მოჩვენებითმა ხელისუფლებამ მოიყაროს თავი, და ერთმანეთს უსვეენ მათ. ამას ადასტურებს ის, რომ შანხაიში არსებობს „ახალგაზრდათა პარტია", რომელსაც აქვს თავისი გაზეთი და ბჭირად აშკარად იცავს ვან ძინ-ვეის წინააღმდეგ. არის ცნობები, რომ 8 აპრილს ნანკინში იაპონელმა ოფიცერმა სცემა მარიონეტული „მთავრობის" „იმპერიულებელი პალატის" გენერალურ მდივანს ჩენ გუნ-ბოს იმისათვის, რომ მისმა მანქანამ ოფიცრის მანქანას გაუსწრო. იქვე იაპონელთა უანდარმერიამ დამამცირებელი გაჩხრეკა მოუწყო ახალი „მთავრობის" ფინანსთა „მინისტრის" ჯოუ ფო-ხაის და გაჭრობისა და მრეწველობის „მინისტრ" მეი ძე-პინის ოლებს.

გამცემთა სიკვდილით დასჯა

ჩუნცინი, 13 აპრილი (საკდესი). მარტის დამლევს ჩინეთის ჯარმა ხელთ იგდო ნანკინის მარიონეტული „მთავრობის" სამი წევრი, ერთი მათგანი იაპონელების მიერ დანიშნული იყო გუბერნატორად, მეორე — მთავარმდივნად და მესამე—ამ „მთავრობის" ფინანსთა მინისტრად. სამივე გამცემი სიკვდილით დასაჯეს.

უკანასკნელი ცნობები

გერმანია უარჰყოფს ცნობას ნორვეგიაში ინგლისის დესანტების გადასხმის შესახებ

ბერლინი, 16 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ გერმანიის ინფორმირებული წრეები უარყოფენ ინგლისელების ცნობას ნორვეგიაში ინგლისის დესანტების გადასხმის შესახებ. გერმანიის წრეებში აღნიშნავენ, რომ ეს დღემდე დაუდასტურებელი ცნობა ჩრდილო ნორვეგიის ერთერთ პუნქტში ინგლისის ჯარის გადასხმის შესახებ, შესაძლოა, მიზნად ისახავდა ლონდონის საზოგადოებრივი აზრის დამშვიდებას. გერმანიის საagენტო აცხადებს, რომ ჯარის გადასხმა ნორვეგიის გაუვალ ფიორდებში უეჭველად შესაძლებელია ზოგიერთ პუნქტში, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით იგი უაზროა. ასეთ დესანტებს არავითარი სამხედრო მნიშვნელობა არ ექნებოდათ. ტრონჰეიმსა და ნარვიკს შორის 600 კმ. მანძილზე გაჭიმულია ციცაბო მთის შვერილების ზოლი. ნარვიკსა და ტრონჰეიმს შორის სარკინიგზო მიმოსვლა არ არის. ამიტომ, როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო აღნიშნავს: „რაიმე ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ ინგლისის ამ რაიონში გადმოსხმული ჯარი ებრძოდეს ნორვეგიის ჩრდილოეთ ნაწილში მომწყვდეულ გერმანიის ჯარს და აგრეთვე შუა და სამხრეთ ნორვეგიაში არსებულ გერმანიის ბაზებს, რომლებიც გერმანელების ხელშია".

○

ბერლინი, 16 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ნორვეგიის სანაპიროს ზოგიერთ პუნქტში ინგლისის დესანტის გადასხმის შეხსენებ ინგლისელების მიერ გავრცელებულ ცნობებთან დაკავშირებით აქ იუწყებიან, რომ არცერთ იმ პუნქტში, რომელიც გერმანიის ჯარის მიერ არის დაკავებული, არცერთი ინგლისელი ჯარისკაცი არ მოიპოვება. ბიუროს ცნობაში აღნიშნულია, რომ ოსლოს რაიონში გერმანიის ჯარის გეგმაზომიერი წინსვლის შედეგად ეს ტერიტორია სავსებით გაწმენდილია ნორვეგიის ჯარისაგან. როგორც წინათ იყო გადმოცემული ამ ჯარის ბევრი ნაწილი შეეცის საზღვარს გადაცდა.

გერმანიის ცნობა საომარი მოქმედების შესახებ

ბერლინი, 16 აპრილი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ დასავლეთის ფრონტზე ადგილი ჰქონდა მტრის მზვერავი და დამკვრელი რაზმების მოქმედებას. მოწინააღმდეგე მოვერიებულ იქნა. მოგერიებულ იქნა აგრეთვე მტრის იერიშები გერმანიის წინწაწეულ სამეთვალყურეო საკუშაგოებზე. მოწინააღმდეგეს 11 კაცი მოჯუკლეთ. გერმანიის პატრულებმა ხელთ იგდეს რამდენიმე ტყვიამფრქვევი.

ლოფოტენის კუნძულების რაიონში ინგლისის დიდი სამხედრო-საზღვაო ძალები და ტრანსპორტია, რაც იმის ნიშანია, რომ მტერს განზრახვა აქვს დესანტი გადასხას ნორვეგიის მთავარ ფიორდიან სანაპიროს ერთერთ ფიორდში.

წინაღმდეგ მტრის ცნობებისა, ნარვიკი გერმანელების ხელშია. განაპირა ჩრდილოეთში გერმანიის მომჭედი ჯარის მდგომარეობა სრულიად არ შეცვლილა. ნარვიკში მყოფი გერმანიის შეიარაღებული ძალები დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს მოწინააღმდეგის განზრახვებს. ის გარემოება, რომ ინგლისელები, თავიანთი რიცხვობრივად მეტი ძალების იმედით, ნარვიკის რაიონში ახდენენ თავიანთ ლონისძიებათა კონცენტრაციას, ამტკიცებს, რომ ინგლისელები, როგორც ჩანს, შეურიგდნენ გერმანიის ჯარის მიერ ნორვეგიის მხიშნელოვანი ნაწილის დაკავებას. ტრონჰეიმიდან გერმანიის ჯარი ღრმად შეიჭრა ნორვეგიაში, ბერგენიდანაც გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა წაიწიეს სხვადასხვა მიმართულებით. ნორვეგიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ნორვეგიის დივიზიის ნაწილებმა იარაღი დაჰყარეს. ამასთან გერმანელებმა ხელთ იგდეს 36 ქვემეხი, დიდძალი ტყვიამფრქვევი და სხვა სამხედრო საკუთრება. ქრისტიანზანდის რაიონში მოკლე ხნის შეტაკების შემდეგ გერმანიის ჯარმა გასტეხა ნორვეგიის მესამე დივიზიის წინააღმდეგობა.

გერმანიის ჯარის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ცხოვრება თავის კალაპოტში დგება. ყალბი ხმებით შეშინებულმა მოსახლეობამ, რომელმაც ქალაქები და სოფლები ნაწილობრივ დატოვა, ხელახლა უბრუნდება თავის საცხოვრებელ ადგილებს. მაღაზიები ხელახლა გაიღო.

ოსლოს რაიონში მიმდინარეობს ჯარის გამალებით გადაყვან-გადმოყვანა — გერმანიის ჯარის შეესება დუბრკოლებლივ სწარმოებს, თუმცა მოწინააღმდეგე იუწყებოდა ახლო მდებარე წყლების დახიმვის შესახებ. უკანასკნელ დღეებში მიღებულია დიდძალი საბრძნიტო არტილერია, რის ნაწილიც გაგზავნილია სტავანგერში, ბერგენსა და ტრონჰეიმში. ავიაცია განაგრძობდა საზღვრავ ფრენას ჩრდილოეთის ზღვასა და ნორვეგიის სანაპიროზე.

კვისლინგის მთავრობის გადადგომა

ოსლო, 16 აპრილი (საკდესი). გერმანიის ოსლოელი ელჩი იუწყება, რომ გუშინ ოსლოში შეიქმნა დროებითი ადმინისტრაციული საბჭო ოსლოს გუბერნატორის ქრისტიანსენის თავმჯდომარეობით, საბჭოში შედის 7 კაცი. კვისლინგის მთავრობა გადადგა. კვისლინგი შეასრულებს რწმუნებულის მოვალეობას დემობილიზაციის საქმეში.

მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელთა დასახმარებლად

ლენინის „აპრილის თეზისები"

1917 წლის თებერვალში რუსეთის მუშათა კლასმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით პირველმა გაარღვია იმპერიალიზმის ფრონტი და დაამხო მეფის თვითმპყრობელობა. გამამარჯვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ. ძლევამოსილი რევოლუციის ხელმძღვანელი და ბელადი იყო რევოლუციური პროლეტარიატი, რომელმაც ბრძოლის ფეხრულში ჩაყვა და თან გაიყოლა მშრომელი გლეხობა.

რუსეთში შეიქმნა სრულიად ახალი თავისებური პირობები, რომელსაც არავინ ელოდა: ჩამოყალიბდა ორი ხელისუფლება, ორი დიქტატურა: ბურჟუაზიის დიქტატურა, დროებითი მთავრობის სახით, და პროლეტარიატისა და მშრომელი გლეხობის დიქტატურა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სახით. ლენინი ამის გამო სწერდა: „ორხელისუფლებიანობაზე წინათ არავინ ფიქრობდა და არც შეეძლო ეფიქრა". „ბოლშევიკური ლოზუნგები და იდეები **საერთოდ** ისტორიამ სავსებით დაადასტურა, მაგრამ **კონკრეტულად** საქმე მოეწყო **სხვანაირად**, ვიდრე ამას მოელოდა ვინმე და (ვინც უნდა იყოს), უფრო ორიგინალურად, უფრო თავისებურად, უფრო მრავალფეროვნად".

წვრილბურჟუაზიული სტიქიის ტალღით ზედაპირზე ამოტივტივებულმა შემთანხმებლურმა პარტიებმა, რომლებიც თავდაპირველად საბჭოებში უმრავლესობას შეადგენდნენ, ძალაუფლება ნებაყოფლობით ბურჟუაზიას გადასცეს.

ბოლშევიკების პარტიამ მეფის თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ აილო კურსი სოციალისტურ რევოლუციაზე. თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებშივე პარტიამ გაიჩაღა ბრძოლა **საბჭოების ერთძალაუფლებიანობისათვის,** რათა რევოლუციის მსვლელობაში საბჭოები პროლეტარიატის და გლეხობის რევოლუციური-დემოკრატიული დიქტატურის ორგანოებად **პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებად გადაექცა.** „ბოლშევიკური პარტიის წინაშე წამოიჭრა ამოცანა—განემარტა პირველი წარმატებით გაბრუებულ მუშათა და ჯარისკაცთა მასებისათვის, რომ რევოლუციის სრულ გამარჯვებამდე ჯერ კიდევ შორს არის, რომ მანამ, ვიდრე ძალაუფლება ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ხელშია, ხოლო საბჭოებში შემთანხმებლები—მენშევიკები და ესერები ბატონობენ, ხალხი ვერ მიიღებს ვერც ზავს, ვერც მიწას, ვერც პურს, რომ სრული გამარჯვებისათვის საჭიროა გადაიდგას კიდევ ერთი ნაბიჯი წინ და გადაეცეს ძალაუფლება საბჭოებს" („საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი" გვ. 219).

ამ სრულიად განსაკუთრებული მდგომარეობის პირობებში ახლად წამოჭრილ ამოცანათა გადასაწყვეტად პარტიას ესაჭიროებოდა ახალი ორიენტირება, ახალი ტაქტიკა და ლოზუნგები. ლენინი ჯერ ისევ საზღვარგარეთ იმყოფებოდა, სტალინი და სვერდლოვი—გადასახლებაში. 1917 წ. 25 მარტს პეტროგრადში დაბრუნდა ამხანაგი სტალინი, რომელიც დაუყოვნებლივ ჩაუდგა სათავეში ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და გაზეთ „პრავდის" მუშაობას. თავის სტატიებში „პრავდაში" ამხანაგი სტალინი იძლეოდა მდგომარეობის გენიალურ ანალიზს და მიუთითებს პარტიის ძირითად ამოცანებზე. სტატიებში „მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების შესახებ" („პრავდა" № 8, 27/III) და „რუსეთის რევოლუციის გამარჯვების პირობათა შესახებ" („პრავდა" № 12, 31/III) ი. სტალინი აღნიშნავდა, რომ საჭიროა რევოლუციის შემდგომი განვითარება, რისთვისაც აუცილებელია კიდევ მეტად განმტკიცდეს მუშებისა და გლეხების რევოლუციური კავშირი, საჭიროა მენშევიკებისა და ესერების გამცემლობის დაუზოგავი გამომჟღავნება. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის, უწინარეს ყოველისა, აუცილებელია ადგილობრივი საბჭოების განმტკიცება და მათი გაერთიანება მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად-რუსეთის საბჭოში. ამხანაგი სტალინი აგრძელებდა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის იმპერიალისტურ ბუნების და მოუწოდებდა ბრძოლისაკენ იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ზავისათვის. სტალინი ხაზგასმით მოითხოვდა მუშების დაუყოვნებლივ შეიარაღებას და წითელი გვარდიის შექმნას.

ბოლშევიკების პარტია, ხელმძღვანელობდა რა ლენინიზმის ძირითადი პრინციპებით, თებერვლის რევოლუციის პირველ დღეებშივე შეუდგა ახალი ორიენტირების შემუშავებას რევოლუციაში. დროებითს ბურჟუაზიულ მთავრობასა და მენშევიკ-ესერებთან ბრძოლასთან ერთად ლენინ-სტალინის პარტია გამანადგურებლად ებრძოდა და ააშკარავებდა კაძენევის, რიკოვის, პიატაკოვის, ბუბნოვის გამცემლობას.

1917 წ. 16 აპრილს ღამით პეტროგრადში ჩამოვიდა ლენინი. ემიგრაციიდან ლენინის დაბრუნების დღე რევოლუციის განვითარების ისტორიაში უდიდეს ისტორიულ თარიღად იქცა. როგორც ამხანაგი სტალინი ამბობს, ლენინის ჩამოსვლა დაეხმარა პარტიას ერთი მოქნევით გამოსულიყო ახალ გზაზე. ჩამოსვლის მეორე დღეს—17 აპრილს — ლენინი ბოლშევიკების კრებაზე გამოვიდა ისტორიული მოხსენებით ომისა და რევოლუციის შესახებ. ამავე დროს ლენინმა თავისი მოხსენება მოამზადა და გამოაქვეყნა წერილობითი თეზისების სახით—**„პროლეტარიატის ამოცანები მიმდინარე რევოლუციაში"**. „ეს იყო ლენინის განთქმული აპრილის თეზისები, რომლებმაც პარტიასა და პროლეტარიატს მისცეს ნათელი რევოლუციური ხაზი ბურჟუაზიულ-რევოლუციიდან სოციალისტურზე გადასვლისა" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 223-224).

როგორც ცნობილია, ლენინმა ჯერ კიდევ ემიგრაციაში ყოფნის დროს მისცა გენიალურად ზუსტი შეფასება თებერვლის რევოლუციის შემდეგ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას რუსეთში. ცარიზმის დამხობას ლენინი სთვლიდა, როგორც ვარდამავალ ეტაპს, საიდანაც დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მზადება რევოლუციის მეორე ეტაპზე — სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლისათვის. თავის პირველ „წერილებში შორიდან" ლენინი რუსეთის მუშებს სწერდა: **„მუშებო! სამოქალაქო ომში ცარიზმის წინააღმდეგ თქვენ გამოიჩინეთ პროლეტარული, ხალხური გმირობის სასწაული. თქვენ უნდა გამოიჩინოთ პროლეტარული და საერთო-სახალხო ორგანიზაციის სასწაული, რათა მოამზადოთ თქვენი გამარჯვება რევოლუციის მეორე ეტაპზე".**

„აპრილის თეზისებში" ლენინი მიუთითებდა, რომ რევოლუციამ განვლო თავისი პირველი ეტაპი და გადადის მეორე ეტაპზე. დღის წესრიგში დგას ახალი ამოცანა — სოციალისტური გადატრიალების ამოცანა.

„რუსეთის მიმდინარე მომენტის თავისებურება მდგომარეობს რევოლუციის პირველი ეტაპიდან **მეორე** ეტაპზე **გადასვლაში.** პირველმა ეტაპმა პროლეტარიატის ნაკლები შეგნებულობისა და შეუკავშირებლობის მეოხებით ძალა-უფლება ბურჟუაზიას არგუნა; **მეორე** ეტაპმა ძალა-უფლება უნდა გადასცეს პროლეტარიატს და გლეხობის ღარიბეს ფენებს" (ლენინი, რჩ. ნაწ, ტ. III, გვ. 304).

პროლეტარიატს შეუძლია მოამზადოს სოციალისტური გადატრიალება იმ პირობით, თუ მუშებისა და უღარიბესი გლეხობის დიდი უმრავლესობა ბოლშევიკების პარტიას გაჰყვება. აქედან გამომდინარეობდა მომენტის ძირითადი ამოცანა—მოთმენით, სისტემატურად, დაჟინებით განმარტება მასებისათვის მენშევიკ-ესერების თვალთმაქცობისა და გამცემლობისა.

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დაუმხობლად იმპერიალისტური ომის დამთავრებაც შეუძლებელია. ამავე დროს ლენინი. წინააღმდეგ „შემარცხენე" ოპორტუნისტებისა (ბოგდატიევი და სხვ.), გაფრთხილებას იძლეოდა, რომ დროებითი მთავრობის (რომელიც საბჭოებზე ემყარებოდა) დამხობის ლოზუნგი ჯერ კიდევ ნაადრევია და დაუშვებელია. ლენინის ლოზუნგია: „არავითარი მხარდაჭერა დროებითის მთავრობას".

ლენინი მიუთითებს, რომ რევოლუციის განვითარებისათვის მთავარ დაბრკოლებას მენშევიკები და ესერები წარმოადგენენ. ისინი აქტიურად ხელს უწყობდნენ დროებითი მთავრობის განმტკიცებას. ლენინი მოუწოდებს მენშევიკ-ესერების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

ლენინის თეზისები მოუწოდებდა ფრონტზე დაძმობილებისაკენ, რაც დაეჩქარებდა რევოლუციის განვითარებას დასავლეთში.

ლენინის აზრით, მუშათა დეპუტატების საბჭო რევოლუციური მთავრობის ერთადერთი შესაძლო ფორმაა. პარტიის ლოზუნგა უნდა იყოს: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს!" „პარლამენტარული რესპუბლიკა კი არა, — მენტარული რესპუბლიკა კი არა, — მუშათა დეპუტატების საბჭოების შემდეგ ამ რესპუბლიკისაკენ დაბრუნება ნაბიჯის უკან გადადგმა იქნებოდა, — არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების რესპუბლიკა მთელ სახელმწიფოში, თავიდან ბოლომდე". ეს იყო უდიდესი ნაბიჯი წინ მარქსიზმის თეორიისა და პრაქტიკის დარგში. პარტიის ამოცანა მდგომარეობდა საბჭოებში უმრავლესობის დაპყრობასა და მათი ბოლშევიკურ საბჭოებად გადაქცევაში.

შემდეგ თეზისები მიუთითებდნენ მთელი მიწის ნაციონალიზაციისა და მემამულეთა მიწების კონფისკაციის აუცილებლობაზე. „ნაციონალიზაცია სახელმწიფოში **მთელი** მიწისა, რომელიც უნდა გადავიდეს მოჯამაგირეთა და გლეხთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების განკარგულებაში".

ლენინი მოითხოვდა სახელმწიფოში არსებული ყველა ბანკის დაუყოვნებლივ შეერთებას ერთიან-საერთო ნაციონალურ ბანკად. ამასთანავე ლენინი ხაზს უსვამდა, რომ პროლეტარიატის **უშუალო** მიზანი როდია სოციალიზმის დაუყოვნებლივი „შემოღება". პარტია თვითაბირველად მოითხოვს პროდუქტების საზოგადოებრივ წარმოებაზე და განაწილებაზე მუშათა **კონტროლის** დაწესებას.

პარტიული მშენებლობის დარგში თეზისები მიუთითებდნენ პარტიის ყრილობის მოწვევის და ახალი პროგრამის შემუშავების აუცილებლობაზე. ლენინი მოითხოვს პარტიის სახელის გამოცვლას, მოითხოვს მას სოციალ-დემოკრატიულის ნაცვლად ეწოდოს **კომუნისტური პარტია,** ვინაიდან მარქსი და ენგელსი თავის პარტიას კომუნისტურს უწოდებდნენ.

თეზისების დასასრულს ლენინი აყენებს III კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნის ამოცანას.

ძირითადი პოლიტიკური ლოზუნგი და ხაზი, რაც წითელი ზოლივით გასდევს ლენინის აპრილის თეზისებში,—ეს არის ბრძოლა პროლეტარიატის სოციალისტური დიქტატურისათვის. თეზისები წარმოადგენენ სოციალისტური რევოლუციისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლის კონკრეტულ პროგრამას. „თეზისებში ახალი ის იყო, რომ ისინი იძლეოდნენ სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლის დაწყების თეორიულად დასაბუთებულ, კონკრეტულ გეგმას" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 224).

ლენინს და მის აპრილის თეზისებს ერთიანი ფრონტით წინ აღუდგა ბურჟუაზია, მენშევიკ-ესერები, კამენევიჩისტები ბინძური ხროვა. მათ განვაში ასტეხეს და ააგორეს ცილისწამების ტალღა ლენინის წინააღმდეგ. ბალაბის და სოციალიზმის შეურიგებელი მტრები ცოფმორეული იბრძოდნენ ლენინ-სტალინის სტრატეგიული ხაზის წინააღმდეგ. მაგრამ ბოლშევიკების პარტიამ სუსტიკად უკუაგდო რევოლუციის გამცემლები. პეტროგრადის და მოსკოვის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა მთლიანად მოიწონეს ლენინის თეზისები და საფუძვლად დაუდეს თავის მუშაობას. პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციებიც დაუყოვნებლივ მათ შეუერთდნენ.

მუშათა კლასის და პარტიის გამცემლებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ბოლშევიკების პარტიამ ლენინ-სტალინის ხელმძღვანელობით ნიღაბი ახადა მტრებს და გაანადგურა ისინი. ლენინის „აპრილის თეზისები" და მისი ლოზუნგები, სრულიად ახლობელი და გასაგები აყენენ ფართო მასებისათვის. ამიტომაც მათ რევოლუციური ენტუზიაზმის ახალი ტალღა ააზვირთეს, ბრძოლის მძლავრი ცეცხლი აანთეს მუშათა მოწინავე რაზმებში. ბოლშევიკური პარტიის გმირულმა ბრძოლამ ბურჟუაზიისა და მისი სისხლიანი აგენტების—მენშევიკ-ესერთა და ტროცკისტ-კამენევიელთა წინააღმდეგ კიდევ უფრო შეამეხიდროვა მუშები და უღარიბესი გლეხობა ბოლშევიზმის დროშის გარშემო. პარტიამ ლენინ-სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით მტკიცე ხელით წაიყვანა მასები ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყების გზით და 1917 წ. ოქტომბერში უბრუნველყო პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება.

ე. ბურჯულაძე

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

15 აპრილს პანტელეიმონ ჩხიკვაძის შემდეგ გარდაიცვალა მწერალი პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

ქართული საბჭოთა მწერლობის ეს დანაკლისი გულწრფელ მწუხარებას გამოიწვევს მკითხველ საზოგადოებაში.

პანტელეიმონ ჩხიკვაძემ თავისი ხანმოკლე საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობით, დაიმსახურა ფართო მკითხველი წრეების ყურადღება და ინტერესი.

პ. ჩხიკვაძე დაიბადა 1903 წლის 30 მაისს სოფ. ბუკისციხეში (გურია), ღარიბი გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის სწავლობდა ჩოხატაურის გიმნაზიაში. 1922 წ. დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და გაემგზავრა ბათომის. 1923 წელს პ. ჩხიკვაძე შეიდა საკ. კ. პ. (ბ) რიგებში. მუშაობდა რა თბილისში, პ. ჩხიკვაძეს განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა თავისი მშობლიური კუთხის—გურიის მშრომელ მოსახლეობასთან. 1924 წელს აგვისტოში პ. ჩხიკვაძე იდგა საბჭოთა ხელისუფლების დამცველ მებრძოლთა რიგებში, რომლებიც იარაღით ხელში ებრძოდნენ ქართველი ხალხის მოსისხლე მტრების — მენშევიკების ავანტიურისტულ გამოსვლას. ამ ბრძოლის დროს მტრების მიერ დაპატიმრებული პ. ჩხიკვაძე ავად გახდა ფილტვების ანთებით, რაც მისთვის სამუდამო ჭრილობა აღმოჩნდა. იგი დაავადდა ჭლექით.

მძიმე ავადმყოფობამ ვერ მოადუნა მისი შრომის უხარი. მუშაობდა რა თბილისის საბჭოში ადმინისტრატიული და პრივატული საბჭოში ადმინისტრატიული და პრივატული თანამშრომლობა გაზ. „კომუნისტსა" და ჟურნალ „მიზანში", რომლებშიაც იგი ბეჭდავდა ნარკვევებსა და ლექსებს. 1929 წელს ჟურნალ „პროლეტარულ მწერლობაში" დაიბეჭდა პ. ჩხიკვაძის პირველი სერიოზული მხატვრული ნაშუშევარი, მოთხრობა „დაბინდებიდან გათენებამდე". ამ წლიდან იგი ჩადგა პროფესიულ მწერალთა რიგებში. ამავე დროს თავისი ლიტერატურული კვალიფიკაციის ასამაღლებლად პ. ჩხიკვაძე მოეწყო ასპირანტად მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის სექციაში.

1930 წლიდან ჟურნალებში და ცალკე წიგნებად იბეჭდება პ. ჩხიკვაძის შემდეგი მხატვრული ნაწარმოებები: „სართულები", (1930 წ.), „ამბანაგი ბუთხუნა", „რომანტიკული ამბავი" (1931 წ.) „ბინდბნელის კვირიტული" (1932 წ.), რომანი „ნაბიჯები" (1933 წ.), ისტორიული რომანი „მურზაყან დადეშქელიანი" (1934 წ). 1937-39 წლებში განს